პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

1) ნიშანი “o” აღნიშნავს “ჩანს”, “მოხსენიებულია”. მაგ.: “o” (1781-1829) ნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება მოხსენიებულია (ჩანს) დოკუმენტებში, პირველად, 1781 და, ბოლოს, 1829 წელს. ან, მაგ. o 1814, ნიშნავს, რომ აღნიშნული პიროვნება ჩანს დოკუმენტებში 1814 წელს.

2) ნიშანი „a” _ პირველი ასო ლათინური სიტყვისა „ante”, რას ნიშნავს „-მდე”. მაგ., ჩანაწერი (1800-a.1830) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1830 წლამდე.

3) ნიშანი „p” _ პირველი ასო ლათინური სიტყვისა „post”, რაც ნიშნავს, „შემდეგ”. მაგ., ჩანაწერი (1800-p.1899) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1899 წლის შემდეგ.

4) ასო „დ” აღნიშნავს „დაიბადა”. (მაგ. დ.1942).

5) ასო „გ” აღნიშნავს „გარდაიცვალა”. მაგ. (o1860-გ.1901), ანუ ჩანს დოკუმენტებში 1860 წელს და გარდაიცვალა 1901 წელს.

6) ნიშანი „N” აღნიშნავს ფაქტს, რომ მოცემული პიროვნების სახელი (ან გვარი) უცნობია.

7) ნიშანი „N.N.” _ სახელი და გვარი უცნობია.

8) ნიშანი „?” თარიღის ნაცვლად აღნიშნავს, რომ თარიღი (დაბადების, ან გარდაცვალების წელი) უცნობია. მაგ., ჩანაწერი (?-1808), აქ დაბადების წელი უცნობია, ხოლო გარდაცვალებისა არის 1808.

9) ნიშანი „~” აღნიშნავს ქორწინებას. თარიღი და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ამ ნიშნის შემდეგ აღნიშნავს ქორწინების თარიღს და ადგილს, სადაც ქორწინება არის რეგისტრირებული. მაგ. „~” (20.01.1866) (მარაბდა) აღნიშნავს, რომ ქორწინება რეგისტრირებულია 20.01.1866 წელს მარაბდაში.

10) ორმაგი ნუმერაცია ნუსხის პირველსავე სახელთან: მაგ., ნუსხა 9 იწყება ბარამ ბეჟანის ძე ამილახვრით. ორმაგი ნუმერაციით 55-1, რასაც მოსდევს ჩანაწერი (იხ. ნუსხა 2). ეს ნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება, ანუ ბარამ ბეჟანის ძე ამილახვარი, პირველად მოხსენიებულია ნუსხა 2-ში 55-ე ნომრით, ხოლო მოცემულ ნუსხა 9-ში იგი არის ნომერი 1.



ნუსხა 1-ის კომენტარები

1. **ავთანდილ.** ჩანს (1419-1430). გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარხი (1425-1430). ჰყავს ძმისწულები: თაყა, ზევდგინ და მამისა.

2. **თაყა.** ჩანს (1425-1459). მოლარეთუხუცესი (1429-1459), ამილახორი. იყო ვახტანგ მეფის ქვისლი (თაყას მეუღლე მამქაან და ვახტანგისა _ სითი ხათუნ იყვნენ ალალი დები, შვილები ციცი ციციშვილისა).

5. **ამირინდო** (ვარ. ამარინდო). (1455-1481). ამილახორი. ცოლად ჰყავდა “მეფის და” ელენე. დაიღუპა 1481 წ. 26 წლის ასაკში.

7. **მამისა** (მამია, სულმამა). ჩანს (1475-1508) ამილახორი (1504-1508). მისი მეუღლე _ გულქან (ჩანს 1475).



ნუსხა 2-ის კომენტარები

2/1. სიაოშ (ვარ. შიაოშ, ბერობაში სიმონ) მამისას ძე. (?-1510). ~ იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მამიდა, გაიანე (ჩანს 1508).

4/1. თაყა მამისას ძე. ჩანს (1511-1543). გორის მოურავი, ამილახორი. ~ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ასული ოლიმპია (ულუმპია) (ჩანს 1523).

6/4. თომა თაყას ძე. (ჩანს 1518). მონაზონი.

7/4. ბარძიმ (ბარზი) თაყას ძე. ჩანს (1518-1578). ამილახორი. მისი სიძეა კახთა მეფე ალექსანდრე II, რომელსაც იგი აქტიურად ეხმარებოდა კახეთში გამეფებაში 1574 წელს.

12/7. თაყა ბარძიმის ძე. (ჩანს 1550). ამილახორი.

13/7. თინათინ ბარძიმის ას.; (?-1594). ~ (12.03.1574). კახეთის მეფე ალექსანდრე II. (1674-1605).

14/9. ანდუყაფარ ფარემუზის ძე. (?-1561). მოკლეს ციხედიდის ბრძოლაში 1561 წლის 6 აპრილს.

15/10. პაპუნა იოთამის ძე. (?-1625) ამილახორი 1605 წლიდან 1625 წლამდე, ინტერვალებით. 1625 წელს იგი იქნა მოკლული იესე ერისთავის მიერ, როგორც ვარაუდობენ, მისივე ნათესავის, ანდუყაფარის წაქეზებით (იხ. ნუსხა 2,№ 23/7). შემდგომში მისმა შვილებმა, პაატამ და იოთამმა შური იძიეს მამის მკვლელზე. ჩაუსაფრდნენ მას და მოკლეს სპარსეთში 1642 წ.
~ თამარ, დაუდხანის ძმის, ვახტანგ ბატონიშვილის ასული, როსტომ მეფის ბიძაშვილი. იგი ბოლოს ჩანს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად 1629 წ.

18/14. ანა ანდუყაფარის ას.; ჩანს (1560-1619). იგი დედაა ქართლის მეფე სიმონ II-ისა (1619-1630 წწ). ~ ქართლის მეფე ბაგრატ VII (1616-1619 წლებში).

19/15. იოთამ პაპუნას ძე. (?-1649). გორის მოურავი, ზემო ქართლის სარდალი, ამილახორი.

21/15. ბეჟან პაპუნას ძე. ჩანს (1619-1656). ამილახორი. ზემო ქართლის სარდალი.

23/17. ანდუყაფარ ფარემუზის ძე. (?-1626). ანა დედოფლის ძმისწული და, აგრეთვე, ქართლის მეფე სიმონ II-ის ქვისლი. მათი ცოლები, ისა-ხან ყორჩიბაშის შვილები და დედით შაჰ-აბასის შვილიშვილები იყვნენ (ისა-ხან ყორჩიბაშის მეუღლე, ზუბეიდა ბეგუმ ასული იყო შაჰ-აბასისა). ანდუყაფარი ამილახვრად ჩანს 1614-1619 და 1620-1625 წლებში. სავარაუდოდ, მისი წაქეზებით მოიკლა მისი მთავარი მეტოქე პაპუნა ამილახვარი. (იხ. ნუსხა 2,№15/10).

24/19. ანდუყაფარ იოთამის ძე. (?-1656). იოთამის უფროსი შვილი. როსტომ მეფემ მას განუახლა სადროშოს სარდლობა და გორის მოურავობა, მაგრამ წყალობის წიგნზე ბეჭდის დასმამდე იგი გარდაიცვალა (1656წ.) და, ამიტომ, ეს თანამდებობები როსტომმა გადასცა მის ძმას _ გივის (1656წ).

25/19. გივი იოთამის ძე. (?-1.09.1700). გორის მოურავი, ზემო ქართლის სარდალი, ამილახორი.
~ (1661) თამარ (მონაზვნობაში გაიანე). ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰ-ნავაზის ასული. (?-1695).

26/19. დემეტრე იოთამის ძე. (ჩანს 1669). ყორჩიბაში.

27/19. ნიკოლოზ იოთამის ძე. (?-1695). კათალიკოსი.

28/19. ბარძიმ იოთამის ძე. (ჩანს 1669). ბოქაულთ-უხუცესი.

29/19. პაატა იოთამის ძე. (ჩანს 1698). ყორჩიბაში.

30/24. იოთამ (ოთია) ანდუყაფარის ძე. ჩანს (1654-1698). ბოქაულთ-უხუცესი, ზემო ქართლის სარდალი. ამილახორი.

31/24. ავთანდილ ანდუყაფარის ძე. ჩანს (1654-1715). ეშიკაღაბაში, გორის მოურავი, ამილახორი.

33/24. ათანასე ანდუყაფარის ძე. მონაზონი.

34/25. ანდუყაფარ გივის ძე. ჩანს (1665-1683). ამილახორი.

35/25. დემეტრე გივის ძე. (?-1728). ~ თამარ, დავით ქსნის ერისთავის ასული.

37/25. გიორგი გივის ძე. (?-1724). იასაული. ეშიკაღაბაში. ამილახორი. დაიღუპა ბრძოლაში 1724 წელს.

38/25. ვახტანგ გივის ძე. (?-1723). სახლთუხუცესი.

39/26. რევაზ დემეტრეს ძე. ჩანს (1665-1715). ბოქაულთ-უხუცესი.

40/28. ბეჟან ბარძიმის ძე. ჩანს (1683-1723). ბოქაულთ-უხუცესი.

42/29. ბარძიმ პაატას ძე. ჩანს (1693-1715). ყორჩიბაში.

43/29. ედიშერ პაატას ძე. (რუსეთში _ Елисей Потапьевич). ჩანს (1715-1770). გაყვა რუსეთში ვახტანგ VI-ს. გენერალ-ლეიტენანტი. იყო ქართული "ჰუსართა პოლკის" მეთაური. ~ გულქან (გუქა), თავად ნოდარ ჯორჯაძის ასული. (1707 ახლო-1745).

47/30. ელენე იოთამის ასული; (?-1745). ~ თავადი გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი. ჩანს (1755-1780).

48/32. რევაზ ერასტის ძე. (ჩანს 1760). მინბაში.

49/34. ოთარ ანდუყაფარის ძე. (?-1741). ქეშიკჩიბაში (ჩანს 1704), ზემო ქართლის სარდალი, ამილახორი. ~ მარიამ ერისთავის ასული. (ჩანს 1736).

50/34. გივი ანდუყაფარის ძე. (შაჰ-ყული-ხან). (1689-1754). სახლთ-უხუცესი, ზემო ქართლის სარდალი, თბილისის მოურავი, ამილახორი. ~ I N. N. ; ~ II (1732), ბანგუა, ვახუშტი ორბელიანის ასული (?-1766).

52/37. დიმიტრი გიორგის ძე. (1719-1773). ეშიკაღაბაში, სახლთ-უხუცესი, ზემო ქართლის სარდალი, გორის მოურავი, ამილახორი. ეჭვმიტანილი იყო, როგორც 1765 წლის შეთქმულების მონაწილე, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაუმტკიცა შეთქმულებასთან უშუალო კავშირი. ~ მარიამ, თავად დიმიტრი ორბელიანის ასული. (1730-1763). დაიღუპა საკუთარ სახლში მისი ჩამონგრევის შედეგად.

56/40. თევდორე ბეჟანის ძე. ჩანს (1723-1738). ზებედე სამთავნელი.

58/45. იესე (იასე) დავითის ძე. (?-30.09.1787). ქიზიყის მოურავი, მდივანბეგი, სარდალი. ~ ხორეშან ბატონიშვილი, იესე მეფის ასული. (?-1790).

60/48. ნიკოლოზ რევაზის ძე. (?-1797). უზბაში. (ჩანს 1762).

61/49. რევაზ ოთარის ძე. ჩანს (1738-1765). კეშიკჩიბაში. სარდალი. ~ (1743), N., ბეჟან არაგვის ერისთავის ასული.

62/49. ბეჟან ოთარის ძე. (ჩანს 1794). სურამის მოურავი.

63/49. N. ოთარის ას.; ~ რამაზ რუსიშვილი-ყორჩიბაში.

65/50. თამარ გივის ას.; დანიშნული იყო ბატონიშვილ თეიმურაზზე, იესეს შვილზე. ~ (1735), თამაზ-ხანი.

66/50. გიორგი (გოგია) გივის ძე. ჩანს (1739-1805). მინბაში. ~ ეფემია, თავად დიმიტრი ორბელიანის ასული. (ჩანს 1777).

68/50. იოანე გივის ძე. ჩანს (1792-1812). ეშიკაღაბაში.

69/58. მარიამ გივის ას. ~ თავადი ელიზბარ თაქთაქიშვილი. (?-1765).

70/58. მარიამ იესეს ას.; (ჩანს 1770). ~ იესე აღაბაბა, იესე ქსნის ერისთავის ძე. ჩანს (1758-1778).



ნუსხა 3-ის კომენტარები

2/1. ერასტი ნიკოლოზის ძე. ჩანს (1754-1808). იასაული.

4/1. დემეტრე ნიკოლოზის ძე. ჩანს (1754-1795). ~ ხორეშან ზაქარიას ას. N (1768-1.03.1838).

5/1. ქაიხოსრო ნიკოლოზის ძე. ჩანს (1754-1799). ერეკლეს ბრძანებით მას დასთხარეს თვალები. ~ ელენე N.; (ჩანს 1842).

6/1. ოთარ ნიკოლოზის ძე. ჩანს (1776-1789). მინბაში.

7/2. ავთანდილ ერასტის ძე. ჩანს (1775-1814). ~ ანა (ანანა), თავად ეგნატე თუმანიშვილის ასული. (1788-р. 1825).

8/2. ედიშერ ერასტის ძე. ჩანს (1789-1816). აჯანყების მონაწილე. ამნისხირებულია 1816 წელს.

9/3. იოსებ ივანეს ძე. (1769-21.03.1850). ~ ელისაბედ, თავად აღათანმ ხერხეულიძის ასული. (1788-1851).

10/4. მაგდანა დემეტრეს ას.; (?-21.01.1872). ~ თავადი როსტომ დავითის ძე ამირეჯიბი. (1781-1835).

11/5. გიორგი ქაიხოსროს ძე (1795-15.03.1836) ~ (1825წ., ნოემბერი). ეკატერინე, თავად დავით ავალიშვილის ას.

12/5. მელანია ქაიხოსროს ას.; (1797-р. 1823). ~ (31.05.1816), თავადი ივანე ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი. (?-а. 1832).

13/5. ლუარსაბ ქაიხოსროს ძე. (1800-7.01.1875). პრაპორშჩიკი. ~ ნინო, თავად ივანე გედევანიშვილის ასული. (1813-1876).

14/5. სიდონია ქაიხოსროს ას.; (ჩანს 1836). ~ (1833) თავადი ქაიხოსრო ზაზას ძე ხერხეულიძე. (1808-1835).

1**5/7. ნინო ავთანდილის ას.;** (?-6.09.1839). ~ (19.01.1820), თავადი დავით რაფიელის ძე ერისთავი (არაგვის). (1795-1875).

16/7. ალექსანდრე ავთანდილის ძე. (1805-21.01.1834). პოდპორუჩიკი.

18/8. ელენე ედიშერის ას.; (1809-16.10.1832). ~ (10.11.1825) თავადი დავით ივანეს ძე აფხაზი. (1796-1848).

19/9. გიორგი იოსების ძე. (1809-20.09.1860). ~ I (1830), სოფიო, თავად გაბრიელ მაღალაშვილის ასული. (1816-1846). ~ II (13.02.1848), მარიამ, აზნაურ დავით პავლიაშვილის ასული (1828-2.08.1848). ~ III (4.06.1854), ანასტასია იაკობის ას. პაული (Анастасия Яковлевна Пауль). (1821-4.06.1890). (კათოლიკ. სარწმ.)

21/13. ბარბარე ლუარსაბის ას. (1833-?). ~ თავადი პაპუნა როსტომის ძე წერეთელი. (1821-1895).

24/13. ევა ლუარსაბის ას.; (10.04.1841-27.03.1908) ~ (26.01.1866), თავადი ნიკოლოზ ლევანის ძე ერისთავი (ქსნის). (1842-1876).

25/13. ივანე ლუარსაბის ძე. (1844-21.04.1906). ~ (9.02.1873), მარიამ (ნინო), თავად ივანე ბარათაშვილის ასული (საამის სახლიდან). (1842-р.1914).

26/13. დავით ლუარსაბის ძე (5.06.1848-1918). ~ I, ნინო, აზნაურ მიხეილ თუხარელის ასული. (1864-24.03.1885). ~ II (15.05.1885), ანასტასია (ანა), მღვდელ დიმიტრი ხმიადაშვილის ასული. (1865-26.04.1920). საკუთარი შვილები არ ჰყავდა. იშვილა ძმისწულის, ელენე ივანეს ასულის (იხ. ნუსხა 3,№39/25) ვაჟი, თავადი ალექსანდრე იასონის ძე ჯავახიშვილი.

27/19. რევაზ გიორგის ძე. (16.05.1832-30.10.1903). ~ ეკატერინე (ალექსანდრა) ომანის ას. N.; (1837-22.11.1908).

28/19. ივანე გიორგის ძე. (20.09.1833-24.11.1888). პოდპორუჩიკი
~ (2.11.1864), მარიამ, თავად ირაკლი მაჩაბლის ასული. (1846-1924).

29/19. მარიამ (მართა) გიორგის ას.; (20.02.1835-29.11.1899). ~ (4.02.1851), პოდპოლკოვნიკი, აზნაური გიორგი სვიმონის ძე ყაზიბეგი (1825-?).

30/19. ანასტასია გიორგის ას.; (6.08.1839-?) ~ (9.07.1878), აზნაური ივანე ივანეს ძე კერესელიძე. (1831-?).

31/19. გრიგოლ გიორგის ძე. (20.12.1842-13.04.1917).გარდაიცვალა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად.
~ (13.11.1874), ეკატერინე (კონია), თავად დიმიტრი ავალიშვილის ასული (ს. ბრეთი). (1851-1915).

32/19. მიხეილ გიორგის ძე. (16.09.1844-10.08.1876). ~ (31.10.1963), ეკატერინე, თავად კონსტანტინე გურგენიძის ასული (1849-1873).

33/19. ალექსანდრე გიორგის ძე. (1850-23.11.1919). ქორწინების გარეშე შვილი. ~ I (16.10.1883), ანა, აზნაურ ივანე პარკაძის ასული (1864-?); ~ II (29.05.1905), ევდუკია პეტრეს ას. სუშინსკაია. (პოდპოლკოვნიკის შვილი).

39/25. ელენე ივანეს ას. (28.02.1882-1961). ~ (18.04.1903), თავად იასონ (იაშა) ივანეს ძე ჯავახიშვილი (1882-1945).

42/28. გიორგი ივანეს ძე. (4.11.1870-р.1904). 1896 წელს მოკლა იოსებ ქარუმიძე, რის გამოც მას ჩამოერთვა თავადის წოდება და გადასახლებულ იქნა ციმბირში. გაათავისუფლეს 1904 წელს.

44/28. ალექსანდრა ივანეს ას.; (9.10.1873-?). ~ (12.11.1889), თავადი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ფალავანდიშვილი. (1856-?).

46/28. ნინო ივანეს ას.; (25.05.1878-1959). ~ (20.10.1904), თავადი ალექსი ნიკოლოზის ძე ამილახვარი. (1876-1929). (იხ. ნუსხა 8,№31/15)

47/28. მარიამ ივანეს ას.; (14.01.1880-7.07.1906). მშობიარობას გადაყვა. ~ (17.02.1899), თავადი მიხეილ რამაზის ძე ხიმშიაშვილი. (1871-?).

48/28. ელენე (ელო) ივანეს ას.; (14.01.1880-р.1925). ~ (15.02.1897), თავადი ნიკოლოზ ივანეს ძე წერეთელი. (1875-1975).

49/28. სოფიო ივანეს ას.; (6.10.1884-1968). ~ თავადი ნიკოლოზ ლევანის ძე მელიქიშვილი. (1867-1924).



ნუსხა 4-ის კომენტარები

2/1. ოთარ რევაზის ძე. (1756- მარტი 1828). გენერალ-მაიორი. ~ ელისაბედ, თავად ჯარდან ჩოლოყაშვილის ასული. (ჩანს 1800).

5/1. სალომე რევაზის ას.; (1766-1827). ~ (28.07.1778), იულონ ბატონიშვილი, მეფე ერეკლეს ძე. (1760-1816).

6/1. ანა რევაზის ას.; ჩანს (1775-1809). ~ თავადი იოანე ნიკოლოზის ძე აბაშიძე. (?-1795). დაიღუპა კრწანისის ომში.

8/1. ალათონე (თორნიკე) რევაზის ძე. (1776-1826). დანიშნული იყო ნაზირ ივანე რუსიშვილ-ყორჩიბაშის ასულ ეფემიაზე, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ მიატოვა იგი,

რის გამოც სასტიკად დაისაჯა მეფე გიორგის მიერ. 1799 წელს ჩამოართვეს მამული (ე.წ. “მთელი სისხლი”), რომელიც გადაეცა დაზარალებულ მხარეს. ~ მართა, თავად ავთანდილ მელიქიშვილის ასული. (1786-1854).

9/2. ელენე ოთარის ას.; (1783-10.03.1866). ~ (1800), თეიმურაზ ბატონიშვილი, მეფე გიორგის ძე. (1782-1846).

10/2. ანასტასია ოთარის ას. (1786-?) ~ თავადი დავით იოანეს ძე აბაშიძე (კახ.შტო). (1776-1854).

11/2. რევაზ ოთარის ძე _ (1788-a. 1834). ~ თავადი ზურაბ ელიზბარის ძე ერისთავი (ქსნის). (1788-1838).

13/2. გიორგი ოთარის ძე. (1794-1853). ~ I (10.12.1816), (ბექამი), სოფიო, თავად პაატა აბაშიძის ასული (1802-1835); ~ II. ელენე იოანეს ას. N;

14/2. ანა ოთარის ას. (1800-1866, მოსკოვში). ~ I. თავადი ყაფლან (ივანე) ზაალის ძე ორბელიანი (1780-1820); ~ II. ივანე ოსიპის ძე სიმონიჩი (Иван Осипович Симонич) (1793-1851).

15/8. სოფიო აღათონეს (თორნიკეს) ას.; (1809-1845). ~ (23.03.1822), თავადი თადია გიორგის ძე ჩოლოყაშვილი. (1790-1839).

17/11. თამარ რევაზის ას.; (1811-a. 1861). ~ (1827), თავადი ასლან სვიმონის ძე წერეთელი. (1801-1878).

18/13. ივანე გიორგის ძე. (1.01.1819-10.10.1874). გვარდიის როტმისტრი. ~ (17.04.1868); მერლინ ლეტიცია (იტალიელი, კათოლიკ. სარწმ.). (1848-1881).

19/13. დავით გიორგის ძე. (2.10.1823-23.01.1870). პრაპორშჩიკი. ~ (2.09.1852), ანასტასია დავითის ას. თაზიშვილი. (1832-29.05.1903).

20/13. ოთარ გიორგის ძე. (24.12.1827-2.03.1877). ~ I (29.10.1857), თამარ, თავად იოანე ამილახვრის ასული, (1829-?). (იხ. ნუსხა 8),№10/8).
[I თავად ივანე (ოქრო) დავითის ძე ერისთავი (ქსნის];
~ II (22.01.1870), ქეთევან (ელისაბედ), თავად იოსებ ჯორჯაძის ასული. (1845-?) (ს. საბუე).

21/13. ნინო გიორგის ას. (1829-p. 1895). ~ (26.08.1869), თავადი ზაალ ივანეს ძე ციციშვილი. (1833-1894).

22/13. რევაზ გიორგის ძე. (5.10.1831-7.06.1857). პრაპორშჩიკი. მოკლულ იქნა მისივე გლეხების მიერ.

23/13. კონსტანტინე გიორგის ძე. (3.10.1834-10.02.1905). ~ (12.10.1856), ელენე, თავად დიმიტრი ციციშვილის ასული (1836-1905).

25/20. გიორგი ოთარის ძე. (10.11.1870-1924). ~ ნინო, თავად კონსტანტინე ქსნის ერისთავის ასული. (1876-1935).

29/25. ოთარ გიორგის ძე. (28.07.1904-1924). დახვრიტეს. ~ ნინო ალექსანდრეს ასული მაისურაძე.

30/25. დიმიტრი (ბაზორკა) გიორგის ძე. (30.10.1906-23.10.1942). პოდპოლკოვნიკი. ~ (1927) ირინე, თავად იოსებ დადიანის ასული (1904-1944).

32/25. ნატალია (დოდო) გიორგის ას.; (5.01.1912-1945). ~ ლევან გიორგის ძე კერესელიძე. (1908-1979).

33/29. მარინე (ფაციკო) ოთარის ას.; (20.09.1924-2000). ~ შოთა მათეს ძე ნათაძე. (1917-1993).

35/30. ოთარ დიმიტრის ძე. (1931-2000). ~ (1968), მარგერიტ ჟანნე მაიე (ფრანგი). (დაბ.1933).

36/30. თამარ დიმიტრის ას.; (დაბ.1935). ~ (1958), გრაფი რადოსლავ ჟორჟ ფრანსუა მარი ჟოზეფ კინსკი (დაბ.1938).



ნუსხა 5-ის კომენტარები

2/1. გივი გიორგის (გოგიას) ძე. (ჩანს 1777-1850). ცხინვალის მოურავი (1781წ.). ~ მარეხ N.; (1766-20.03.1836).

3/1. ანდუყაფარ (ანანია) გიორგის (გოგიას) ძე; (ჩანს 1777-a.1850). ცხინვალის მოურავი. ~ I. N.N.; ~ II (20.04.1818) (ჭალა), მაკრინე, თავად ქაიხოსრო ჯავახიშვილის ასული.

4/1. ივანე (იოვანე) გიორგის (გოგიას) ძე. (1782-28.04.1842). ~ მელანია, თავად ვახუშტი ჯავახიშვილის ასული. (1788-1831).

5/2. ანა გივის ას. (?-13.04.1812). მოკლულ იქნა ქმართან ერთად გლეხების მიერ. ~ I. N.N.; ~ II. თავადი ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი (ზურაბის სახლი). (1781-13.04.1812).

6/2. გიორგი გივის ძე. (1786-?). ~ I, ეკატერინე, თავად ჩოლოყაშვილის ასული; ~ II, ნატალია სოლომონის ასული N. (1811-13.09.1847). გარდაიცვალა ქოლერისგან.

7/3. დავით ანდუყაფარის ძე. (1790-ჩანს 1837). ~ სოფიო, აზნაურ გაბრიელ (გლახა) ჭილაძის ასული. (1806-13.11.1869).

8/6. თამარ გიორგის ას..; (1811-26.01.1869). ~ თავადი ივანე გიორგის ძე აბაშიძე. (1799-1862), (ქართლი).

9/6. დიმიტრი გიორგის ძე. (1818-10.10.1877). ~ I. (1837), მარიამ (მაია), თავად მიხეილ შერვაშიძის ასული. (1819-1869), (ქართლი). ~ II (2.05.1870), ელისაბედ, გლეხ ნიკოლოზ გოცირიძის ასული. (1845-?).

10/5. დავით გიორგის ძე. (21.11.1820-27.12.1862). ~ (15.07.1856), ეკატერინე, თავად ბესარიონ ფავლენიშვილის ასული. (1838-p.1890).

11/6. გივი გიორგის ძე. (1822-1853). ~ რახილ, თავად ზაქარია ფავლენიშვილის ასული. (1823-?).

12/6. ნიკოლოზ გიორგის ძე. (1824-1862). პორუჩიკი. ~ (13.01.1857). ნატალია ივანეს ას. შერგილაშვილი. (1839-9.03.1875).

18/6. იესე გიორგის ძე. (10.11.1840-a.1868). ~ (10.02.1864), ნინო, თავად დავით თაქთაქიშვილის ასული. (1847-?).

20/7. მაკრინე დავითის ას.; (1810-12.04.1838). ~ (1825), თავადი გიორგი პაპუნას ძე ფავლენიშვილი. (?-1860).

21/7. ელისაბედ დავითის ას.; ~ (1834), სულხან სულხანიშვილი.

22/7. ანასტასია დავითის ას.; ჩანს (1837-1900). ~ N. ნუდმენსკი (Нудменский).

23/7. გიორგი დავითის ძე. (1.01.1822-1.02.1861). ~ I (7.01.1849) (ცხინვალი), ეკატერინე, თავად თეიმურაზ მაჩაბლის ასული. (1826-1858). ~ II (21.10.1858), პელაგია, თავად გიორგი ფალავანდიშვილის ასული (1841-1908).

24/7. მიხეილ დავითის ძე. (20.06.1828-8.07.1861). ასისთავი. ~ (20.08.1858), ანა, თავად გიორგი ჩოლოყაშვილის ასული (1836-1872).

25/7. მარიამ (მაია) დავითის ას.; (10.01.1832-?). ~ აზნაური ბესარიონ დიმიტრის ძე აბელიშვილი.

28/7. ნინო დავითის ას.; (1842-?). ~ I, N. დუბროვსკი (Дубровский); ~ II (7.04.1874), აზნაური ესტატე დიმიტრის ძე ყიფიანი. (1847-?).

29/10. გიორგი დავითის ძე. (20.11.1857-1917). პოდპოლკოვნიკი. მსახურობდა ფოთის პოლკში. ~ (14.01.1890), ეკატერინე, აზნაურ ზაალ ტერიშვილის ასული. (1870-?).

39/12. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. (10.03.1859-23.06.1905). მოკლულია მასობრივი არეულობის დროს. ~ (8.02.1880), რახილ (ხახე), თავად სარდიონ ციციშვილის ასული (1855-1904).

43/23. სალომე გიორგის ას.; (2.02.1861-1948). ~ (31.01.1874), თავადი გიორგი შანშეს ძე ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (1852-1892).

44/24. მარიამ მიხეილის ას.; (8.06.1859-?). ~ (17.10.1872), თავადი ნიკოლოზ ათანასეს ძე მაყაშვილი. (1843-?).

46/29. ელენე გიორგის ას.; (30.08.1890-?). ~ (15.01.1912); თავადი რევაზ (ვარლამ) ალექსანდრეს ძე მაჩაბელი, (1886-?) (ს. ქურთა).

48/29. ნინო გიორგის ას.; (20.10.1893-1967). ~ თავადი ალექსანდრე რევაზის ძე მაჩაბელი. (ს. დგვრისი).

50/29. მარიამ გიორგის ას.; (1898-1986). ~ ალექსანდრე ვაჩეიშვილი.

52/39. ნატალია ალექსანდრეს ას.; (25.10.1882-?). ~ სერაფიონ მაჭარაშვილი.

53/39. სოფიო ალექსანდრეს ას.; (18.08.1884-?). ~ N. ბახტაძე.

55/39. რომანოზ (რევაზ) ალექსანდრეს ძე. (1.01.1890-1963). ~ ნინო კონსტანტინეს ას. აღნიაშვილი.



ნუსხა 6-ის კომენტარები

2/1. ნინო ივანეს ას.; (1806-ჩანს 1853) ~ I (1831), თავადი ქაიხოსრო ზაზას ძე ბარათაშვილი (1791-?); გოსტაშაბის სახლიდან. ~ II (10.11.1833), თავადი ზაალ სულხანის ძე ბარათაშვილი. (1793-1848). (გერმანოზის სახლიდან).

4/1. ალექსანდრე ივანეს ძე. (1816-1852). ~ I, N.N.; ~ II, ქეთევან, თავად ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული; ~ III (27.01.1845), ქეთევან, აზნაურ ქრისტეფორე ანანიაშვილის ასული. (1826-8.06.1889).

5/1. მელიტონ ივანეს ძე. (1818-1848). ~ სოფიო ფარემუზის ას. N.; (1827-p.1860).

6/1. ეფემია ივანეს ას. (1820-1.01.1858). ~ (18.10.1834), თავადი ანდუყაფარ ბეციას ძე ფალავანდიშვილი. (1812-?).

7/1. ბარბარე ივანეს ას.; (1822-22.12.1877). ~ თავადი როსტომ დავითის ძე ერისთავი (ქსნის) (1811-1847).

9/4. სალომე (ლუბა) ალექსანდრეს ას.; (1843-?). ~ (30.01.1870), თავადი დავით ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავი. (1844-1908).

11/4. ზაქარია ალექსანდრეს ძე. (12.01.1848-1921). ~ (11.06.1872), ნატალია, აზნაურ როსტომ თუხარელის ასული. (1853-1919).

12/4. მარიამ (მაშო) ალექსანდრეს ას.; (26.09.1850-?). ~ N. თაზიშვილი.

15/11. სალომე (ლუბა) ზაქარიას ას.; (23.01.1875-1943). ~ ანდრია გაბრიელის ძე ჩუბინიშვილი. (?-1934).

19/11. ნინო ზაქარიას ას.; (29.03.1883-1924). ~ იოსებ ფანიაშვილი.

21/11. ნიკოლოზ ზაქარიას ძე. (17.03.1887-1957). ~ (6.05.1912), ბარბარე, აზნაურ ილია (ილარიონ) გვერდწითელის ასული. (1891-1955).

24/21. გიორგი (გოგი) ნიკოლოზის ძე. (7.01.1916-?). უგზო-უკვლოდ დაიკარგა (1942 წელს) მეორე მსოფლიო ომში. ~ თამარ ალექსანდრეს ას. გულიაშვილი. (1921-?).

25/21. ნინო ნიკოლოზის ას.; (7.11.1918-1993). ~ გრიგოლ ნიკიფორეს ძე მიქაუტაძე. (1912-1943).

27/21. ზაქარია (ჯაბა) ნიკოლოზის ძე. (დაბ.1924). ~ ზინაიდა ივანეს ას. მღებრიშვილი. (დაბ.1925).

28/21. გივი ნიკოლოზის ძე. ((1927-2007). ~ ნადეჟდა ლავრენტის ას. გავაშელიძე. (დაბ.1927).

29/24. ვაჟა გიორგის ძე. (დაბ.1940). ~ I, ლია მიხეილის ას. მარკოზია (დაბ. 1940); ~ II, ლია N.; ~ III. მანანა მძინარიშვილი (დაბ.1949).

30/27. ფარიმან ზაქარიას ძე. (დაბ.1949). ~ I, ლუიზა ჯანგულაშვილი; ~ II, ციცო ხატიაშვილი.

31/27. ნაირა ზაქარიას ას.; (დაბ.29.08.1952). ~ აკაკი გოგიბედაშვილი.

32/27. ბარბარე ზაქარიას ას.; (დაბ.1956). ~ ალექსანდრე ილურიძე.

33/28. რევაზ გივის ძე. (დაბ.1950). ~ ქეთევან ამირანის ას. ტატიაშვილი. (დაბ.1958).

34/28. ნატალია გივის ას.; (დაბ.1952). ~ დემურ დავითის ძე კახიანი. (დაბ.1954).

35/28. ქეთევან გივის ას.; (დაბ.1959). ~ თამაზ გიორგის ძე არჩვაძე. (დაბ.1949).

39/29. ნათია ვაჟას ას.; (დაბ.1975). ~ ვაჟა ბორტიშვილი. (დაბ.1969).



ნუსხა 7-ის კომენტარები

2/1. ბარძიმ დავითის ძე. (1781-16.04.1861). ~ მაია, თავად გიორგი ფალავანდიშვილის ასული. (?-a.1856).

3/1. გრიგოლ დავითის ძე. ჩანს (1799-1801). ქორწინების გარეშე შვილი.

4/2. ანასტასია ბარძიმის ას.; (1807-24.02.1862). ~ თავადი ივანე ზაზას ძე ციციშვილი. (1787-1833), სოფ. ნიჩბისი.

6/2. გივი ბარძიმის ძე. (1810-19.07.1877). პრაპორშჩიკი. ~ I (12.05.1827) (ს. ტყვიავი), ანასტასია, თავად ლუარსაბ ქსნის ერისთავის ასული. (1809-1886). ~ II, ანასტასია დავითის ას. თაზიშვილი. (?-18.11.1886).

7/2. სოფიო ბარძიმის ას.; (1812-10.11.1866). ~ (25.05.1830), თავადი დავით ივანეს ძე ანდრონიკაშვილი. (1809-?).

8/2. იოსებ ბარძიმის ძე. (20.05.1814-23.08.1859). ~ (10.02.1838, სოფიო, თავად მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული. (1819-1880).

11/6. ივანე (ნიკო) გივის ძე. (6.01.1829-27.08.1905). გენერალ-ლეიტენანტი. ~ ანა, თავად ალექსანდრე ქსნის ერისთავის ასული. (1848-1934).

13/6. მიხეილ (მიხაკო) გივის ძე. (10.04.1833-15.12.1883). პრაპორშჩიკი. ~ (26.05.1873), ანა (ანასტასია), თავად ესტატე ქსნის ერისთავის ასული. (1844-1920).

14/6. ელისაბედ (ხორეშან) გივის ას.; (5.04.1836-?). ~ (17.02.1872), თავადი დავით ივანეს ძე აბაშიძე. (იმერეთის აბაშიძეთა შტო, სოფ. დილიკაური). (1830-1892).

18/6. ნატალია გივის ას. (1843-1925). ~ N ტერიშვილი.

21/6. მარიამ გივის ასული. (7.07.1847-9.01.1881). ~ (7.11.1871), თავადი იოსებ ადამის ძე ქობულაშვილი (1847-?).

22/8. ნინო იოსების ას.; (7.01.1839-?). ~ (23.02.1861). თავადი მიხეილ ლევანის ძე ერისთავის (ქსნის). (1833-?).

23/8. ეკატერინე იოსების ას.; (14.01.1841-?). ~ (15.04.1871) თავადი დიმიტრი ზაალის ძე ფალავანდიშვილი. (1837-?).

24/8. ალექსანდრე იოსების ძე (16.08.1842-20.12.1888). ~ I, ნინო გაბრიელის ას. N.; (1861-28.10.1884). დაიხრჩო მტკვარში. ქმართან იყო განქორწინებული. ~ II (24.02.1882), ქეთევან, თავად ირაკლი ბაგრატიონის ასული (ბაგრატიონ-მუხრანელთა შტო), (1852-1918).

28/8. ზაქარია იოსების ძე, (11.03.1849-11.09.1876). ~ (8.02.1876), ნინო, თავად იოსებ ფავლენიშვილის ასული (1844-1908).

32/11. ნინო ივანეს ას.; (11.06.1873-1933). ~ თავადი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი. (1864-1921).

33/11. გივი ივანეს ძე. (25.05.1874-5.11.1943, პარიზი). გენერალ-მაიორი. ~ I; ანა გრიგოლის ას. კუზნეცოვა; ~ II; N. იუნგერი (юнгер).

34/11. მართა ივანეს ას.; (31.08.1875-1937). ~ I (17.12.1895), თავადი დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი. (1868-р.1916). განქორწ. 1906წ.; ~ II; აზნაური ვლადიმერ გიორგის ძე თურქია. (1873-1948).
]
36/11. კონსტანტინე ივანეს ძე. (ოქტ. 1877-1927). ~ (17.08.1916), ნინო, თავად ნიკოლოზ შერვაშიძის ასული. (1887-1938). განქორწინდნენ 1922წ.

43/13. ნინო მიხეილის ას.; (20.09.1880-16.10.1918). ~ (25.04.1911) თავადი სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი. (1883-1944).

44/24. მარიამ ალექსანდრეს ას.; (19.02.1877-23.05.1910). ~ N. ეგაძე.



ნუსხა 8-ის კომენტარები

2/1. გიორგი დიმიტრის ძე. ჩანს (1749-1805). 1759წ. დაინიშნა ელისაბედ ბატონიშვილზე, მეფე ერეკლეს დაზე. ქორწინება ჩაიშალა. 1765 წ-ს ელისაბედი მისთხოვდა სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს, ხოლო გიორგიმ იშვილა თავისი ბიძაშვილის, გოგია მინბაშის შვილი იოვანე ამილახვარი. (იხ. ნუსხა 5,№4/1).

4/1. ალექსანდრე (ჭაბუკი) დიმიტრის ძე. (20.10.1750-1802, ასტრახანი). პოლიტიკური მოღვაწე. მწერალი. ერეკლეს წინააღმდეგ ცნობილი შეთქმულების დროს (1765წ.) ალექსანდრე მხოლოდ 15 წლის იყო. მიუხედავად ამისა იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში და გადაურჩა სიკვდილით დასჯას მხოლოდ მცირეწლოვანების გამო. 1772 წელს გაემგზავრა რუსეთს.

5/1. ნიკოლოზ (კიკოლა) დიმიტრის ძე. (?-1819). ისპაჰანის მოურავი (1910წ.). ~ ნინო, თავად გიორგი აბაშიძის ასული. (1785-1847).

6/1. ევგენი (ტიმოთე) დიმიტრის ძე. (22.01.1760-15.05.1790, ქ. ვიბორგი).

7/1. დავით დიმიტრის ძე. ჩანს (1798). ქორწინების გარეშე შვილი.

8/5. იოანე (ივანე) ნიკოლოზის ძე. (1809-21.12.1877). პოდპორუჩიკი. ფოსტის დაყაჩაღების ინიციატორი 1849 წელს. ათი წლით იყო გადასახლებული ციმბირში. გაათავისუფლეს 1866წ. ~ I (1829), მართა, აზნაურ იოსებ კალატოზიშვილის ასული. (1814-a.1833). ~ II (10.10.1838) (საჩხერე), დესპინე (დაფინა), თავად სიმონ წერეთლის ასული, (1821-1909).

9/5. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. (10.10.1916-6.11.1877). ~ (31.06.1842) (საჩხერე), ეფროსინე, თავად როსტომ წერეთლის ასული. (1829-1880).

10/8. თამარ იოანეს ას.; (1829-?). ~ I (24.09.1846), თავადი ივანე (ოქრო) დავითის ძე ერისთავი (ქსნის). (1818-1858); ~ II (29.10.1857), თავადი ოთარ გიორგის ძე ამილახვარი, (1827-1877). (იხ. ნუსხა 4,№20/13).

11/8. დიმიტრი იოანეს ძე. (10.02.1840-4.06.1915). პოდპოლკოვნიკი. ~ (21.10.1884), ანასტასია, თავად რევაზ ქსნის ერისთავის ასული. (1862-1942).

12/8. ნინო იოანეს (ივანეს) ას.; (4.10.1844-31.10.1889). ~ თავადი ნიკოლოზ ბეჟანის ძე თარხან-მოურავი. (1828-1900).

13/8. ვლადიმერ იოანეს ძე. (15.11.1846-28.04.1902). ტიტულარული მრჩეველი (титулярный советник). ~ (1866), მარია ალექსანდრეს ას. პრევოსტი (Мария Александровна Превост), მარკიზ პრევო სანსაკ დე-ტრავერსეს შვილიშვილი. (1850-ჩანს 1899).

15/9. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. (14.03.1848-13.02.1913). ~ (3.02.1874), ანა ზაქარიას ას. ფიოდოროვა (Фёдорова). (1856-26.03.1918).

17/9. ივანე ალექსანდრეს ძე. (5.04.1862-p.1916). ~ (6.01.1880), ოლღა, თავად რამაზ ხიმშიაშვილის ასული. (1863-?).

20/9. ილია (ილიკო) ალექსანდრეს ძე. (23.04.1869-28.12.1923). ~ I, სოფიო ალექსანდრეს ას. N.; ~ II, მარიამ ზაქარიას ას. N.; (ჩანს 1923).

21/9. სიმონ ალექსანდრეს ძე. (4.07.1870-1924). დახვრიტეს. ~ ეკატერინე, აზნაურ მიხეილ ქარუმიძის ასული. (ჩანს 1916).

24/13. თამარ ვლადიმერის ას.; (1868-?). ~ (22.04.1890), კარის მრჩეველი (надворный советник), ექიმი ფედოტ თეოფილეს ძე კრასოვსკი (Федот Феофилович Красовский). (1855-?).

25/13. ლიუდმილა ვლადიმერის ას.; (ჩანს 1900). ~ N. კუზანოვი.

29/13. ალექსანდრე ვლადიმერის ძე. (20.10.1880-1968). ~ (1902), ბარონესა სესილია ელენა ფონ გროტგუს. (1872-1934).

31/15. ალექსი ნიკოლოზის ძე. (2.01.1876-1929). ~ (20.10.1904), ნინო, თავად ივანე ამილახვრის ასული. (1878-1959). (იხ. ნუსხა 3,№46/28).

34/15. ანა (ნინო) ნიკოლოზის ას.; (6.12.1881-1926). ~ (29.07.1916), პორუჩიკი ლევან ლევანის ძე ნინიძე. (1893-1970).

36/15. ტერეზია ნიკოლოზის ას.; (9.10.1886-1974). ~ (11.07.1908), თავადი ივანე გრიგოლის ძე ჯავახიშვილი. (1884-1952).

41/20. ალექსანდრე ილიას ძე. (4.01.1886-?). ~ (25.02.1918), მელანია ათანასეს ას. ჯიმშელაშვილი. (1898-?).

43/20. ნინო ილიას ას.; (20.04.1891-р.1923). ~ (10.12.1908), გიორგი ივანეს ძე ხაჩიტიევი. (1886-?).

45/21. ვახტანგ სიმონის ძე. (1.01.1891-2.06.1916). კორნეტი, გმირულად დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში.

46/21. ირაკლი სიმონის ძე. (24.11.1894-1924). დახვრიტეს მასობრივი რეპრესიების დროს.

50/29. რუსუდან (დანა) ალექსანდრეს ას.; (1906-?) ~ (1927), ჰენრი გეესტერანუს. (1894-?).

51/31. ირინე ალექსის ას.; (24.07. 1905-1986, პარიზი). ~ (1929), აზნაური სიმონ ვლადიმირის ძე მაღალაშვილი. (1900-1962).

52/31. მარინე (მართა) ალექსის ას.; (1907-1988). ~ I, (1930), შალვა ნებიერიძე. (1903-?); ~ II, თავადი არჩილ მიხეილის ძე დადიანი. (1911-1976).



ნუსხა 9-ის კომენტარები

2/1. ბეჟან ბარამის ძე. ჩანს (1732-1804). მინბაში, მოურავი. ასპინძის ომის მონაწილე (1770). 1804 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. ცოლი შეირთო 40 წლის ასაკში. ~ N. N.;

3/1. ომან ბარამის ძე. ჩანს (1796-1811). ~ N., დიმიტრი (მეჰრ-ალი-ბეგ-მირალიბეგ) ციციშვილის ასული.

4/2. იოანე ბეჟანის ძე. (?-1816). ~ ელისაბედ, თავად მამუკა ხიდირბეგიშვილის ასული. (1771-1819).

5/3. იოვანე (ნინია) ომანის ძე. ჩანს (1796-1812). ~ I, N., ივანე ბარათაშვილის ასული (?-a.1803); ~ II, ელისაბედ, თავად ზაალ ანდრონიკაშვილის ასული. (ჩანს 1812).

7/4. იოსებ იოანეს ძე. (1788-21.03.1850). ~ მარიამ N.; (1816-1833).

8/4. სოფიო (თუთა) იოანეს ას.; (?-1821). მშობიარობას გადაყვა. ~ თავადი იოანე რევაზის ძე მაჩაბელი. (1787-1835).

9/4. თეიმურაზ იოვანეს ძე. (1802-10.07.1839). პრაპორშჩიკი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. ~ (30.08.1820), სალომე, თავად ივანე ფავლენიშვილის ასული. (1806-p.1850).

11/4. ბეჟან იოანეს ძე. (1806-9.08.1847). პოდპორუჩიკი. გარდაიცვალა ქოლერისგან. ~ (3.09.1833), ქეთევან, თავად მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული. (1815-?).

12/4. ამირინდო იოანეს ძე. (1808-10.08.1847). პრაპორშჩიკი. გარდაიცვალა ქოლერისგან. ~ I, თინათინ, თავად ზაქარია ციციშვილის ასული; ~ II, ქეთევან ზაალის ასული N.; (1826-p.1853).

13/4. თინათინ იოანეს ას.; (1811-30.10.1856). ~ (1823), თავადი ზაქარია დავითის ძე ციციშვილი. (1803-1868).

16/9. ივანე (იოანე) თეიმურაზის ძე. (29.03.1829-23.03.1887). ~ (19.07.1854), ნინო, გლეხ ივანე ალადატოვის ასული (სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობისა), (1836-?).

17/9. ეკატერინე თეიმურაზის ას.; (28.04.1823-?). ~ (11.11.1845), თავადი სოლომონ ზურაბის ძე ერისთავი (ქსნის). (1816-1880).

19/11. ივანე ბეჟანის ძე. (18.06.1834-1855). პრაპორშჩიკი. გარდაიცვალა ნიყენებული ჭრილობებისგან.

20/11. გრიგოლ (გივი) ბეჟანის ძე. (1835-5.03.1855). პრაპორშჩიკი.

21/12. ამირინდო ამირინდოს ძე. (9.07.1848-12.11.1886). ~ (4.02.1873), მარიამ (მაშო), თავად დავით ქსნის ერისთავის ასული. (1851-1888).

24/16. ალექსანდრა ივანეს ას.; (2.02.1858-?). ~ თავადი ალექსანდრე სიმონის ძე ავალიშვილი. (1849-?).

25/16. გიორგი ივანეს ძე. (3.01.1859-1925). პორუჩიკი.

26/16. თეიმურაზ (გენო) ივანეს ძე. (12.10.1860-29.09.1905). მოკლეს მასობრივი არეულობების დროს. ~ (14.04.1885), ანასტასია (ანა), თავად გიორგი ფალავანდიშვილის ასული. (1864-1912).

28/16. კონსტანტინე ივანეს ძე. (30.10.1865-1924). დახვრიტეს მასობრივი რეპრესიების დროს. ~ (23.07.1889), მარიამ გაბრიელის ასული ნონიაშვილი. (1871-1857).

29/16. სოფიო (სემირამიდა) ივანეს ას.; (7.04.1868-р.1905). ~ (28.08.1897), არშაკ ივანეს ძე ბუდუგოვი. (1859-?).

34/21. ნიკოლოზ ამირინდოს ძე. (17.12.1879-3.03.1915). დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში.

41/26. ნიკოლოზ თეიმურაზის ძე. (6.05.1897-1923, დაიღუპა ძალადობრივი სიკვდილით). ~ (29.10.1916), ნინო, თავად ესტატე თარხან-მოურავის ასული. (1895-1947).

44/26. რუსუდან თეიმურაზის ას.; (10.02.1902-1989). ~ აზნაური იაკინთე ალექსი-მესხიშვილი. (?-1924). დახვრიტეს.

46/28. შალვა კონსტანტინეს ძე. (6.101894-1977). ~ (28.05.1917), ელენე, თავად არჩილ ციციშვილის ასული. (1890-1984).

47/28. ლევან კონსტანტინეს ძე. (16.05.1896-1922). ~ (21.11.1920), რევეკა (რივა) მიხეილის ას. სრიბნერი (Срибнер). (1903-?).

49/41. თეიმურაზ (ზაზა) ნიკოლოზის ძე. (1919-1986). ~ I, ლია (Ляля) მესგისერი (Месгисер). (1919-?); ~ II, მარინა სვერჟევსკაია. (1911-1995); ~ III, ირინა შაპოვალოვა. (დაბ.1929).

50/41. გაიანე ნიკოლოზის ას.; (1920-1989). ~ ტელემაკ მასიკოს ძე მეგრელიშვილი. (1915-1977).

51/46. მაგდალინა (დოდო) შალვას ას.; (1918-2008) ~ ვლადიმერ ივანეს ძე ზაალიშვილი. (1905-1949).

52/46. ლევან (ბიჭიკო) შალვას ძე. (1922-1986). ~ ოლღა ანდროს ას. დალაქიშვილი. (დაბ. 1921).

53/46. გულნარა შალვას ას.; (დაბ. 1931). ~ გურამ მარღანია. (?-1964).

54/49. მალხაზ თეიმურაზის ძე. (1940-1994). ~ ფატიმა ჯიოევა (დაბ. 1942).

55/52. ზაურ ლევანის ძე. (1941-1977). ~ ლიანა იოსების ას. აკოპოვა. (დაბ. 1942).

56/52. ნუგზარ ლევანის ძე. (დაბ. 1946). ~ იზო ყაზარაშვილი. (დაბ. 1946).

57/52. ზურაბ ლევანის ძე. (დაბ. 1949). ~ მარინე ოთარის ას. გიორგობიანი. (დაბ. 1952).

58/52. გურანდა ლევანის ას.; (დაბ. 1957). ~ დავით გოგოლაძე.

59/54. ირინა მალხაზის ას.; (დაბ. 1966). ~ დათო გეგეჭკორი.

60/54. ნონა მალხაზის ას.; (დაბ. 1968). ~ დავით N.

61/55. ზაზა ზაურის ძე. (დაბ. 1964). ~ ნატო N.

63/56. მარეხ ნუგზარის ას.; (დაბ. 1970). ~ გია აბულაძე. (დაბ. 196...).



ნუსხა 10-ის კომენტარები

2/1. ვახტანგ (რუსეთში ვასილი) ავთანდილის ძე. (?-1739). გაყვა ვახტანგ VI-ს რუსეთში. გარდაიცვალა ასტრახანში. ~ ელენე, თავად ლუარსაბ ორბელიანის ასული. ჩანს (1724-1769).

4/1. ამირინდო ავთანდილის ძე. (o1707-1.02.1772). ზემო ქართლის სარდალი, გორის მოურავი, ამილახორი. ~ ელენე, თავად საზვერელ ჩოლოყაშვილის ასული. (o1723-1771).

5/1. ათანასე ავთანდილის ძე. (1705-1774). მროველეპისკოპოსი, რუისის მიტროპოლიტი, თბილელი. 1752წ. გაგზავნეს ელჩად რუსეთში. იქედან არ დაბრუნებულა. გარდაიცვალა მოსკოვში.

6/2. გიორგი (ეგორ) ვახტანგის (ვასილის) ძე. (1715-16.07.1779). ძმასთან ერთად ჩავიდა რუსეთში 1752 წელს. ჰქონდა „ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის" („действительный тайный советник") მაღალი ჩინი. 1778-79 წლებში იყო „სამემკვიდრეო მამულის (вотчина) კოლეგიის პრეზიდენტი".

7/2. ავთანდილ (ევგენი) ვახტანგის (ვასილის) ძე. (1717-11.12.1786). ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი (действительный статский советник) "პრემიერ-მაიორი". იყო მოსკოვის გუბერნიის სამოქალაქო სასამართლო პალატის თავმჯდომარე.

8/2. ანა ვახტანგის (ვასილის) ას.; (10.04.1720-6.03.1794). ~ ბატონიშვილი ათანასე ლევანის (ლეონის ძე) გრუზინსკი. (1707-1784).

9/4. ქაიხოსრო ამირინდოს ძე. ჩანს (1744-1780). ~ I, ნინო N.; ~ II, თუთა, რაჭის ერისთავის ასული. (ჩანს 1815).

10/4. ელენე ამირინდოს ას.; ~ თავადი დავით მამუკას ძე ჯორჯაძე. ჩანს (1761-1802).

11/4. თინათინ ამირინდოს ას.; ~ თავადი დიმიტრი (ჯიმშერ) როშაქის ძე ჩოლოყაშვილი. (?-1756).

12/4. თამარ ამირინდოს ას.; ჩანს (1754-1776). ~ თავადი დიმიტრი (ტეტია) ელიზბარის ძე ორბელიანი. (?_1777).

13/9. გიორგი ქაიხოსროს ძე. (1775-1815). პოდპოლკოვნიკი გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. ~ I, ეკატერინე, თავად დავით ორბელიანის ასული. (1782-1813); ~ II, თინათინ (კონია), თავად ზაზა თარხან-მოურავის ასული. (1780-1843). (II ~, თავადი ივანე ზაქარიას ძე ციციშვილი).

14/9. ვახტანგ ქაიხოსროს ძე.; (?-2.11.1825). ~ (12.02.1819), ანა, თავად ბეცია გედევანიშვილის ასული. (1796-1850).

15/9. ელენე ქაიხოსროს ას.; გიორგი ავალიშვილის ბებია. ~ N.N.;

16/9. ივანე ქაიხოსროს ძე. (?-a.1823), ~ ქეთევან, თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის ასული. (?-a.1836).

17/9. ნინო ქაიხოსროს ას.; (?-11.02.1839). მონაზონი. სამთვისის მონასტრის წინამძღვარი.

18/13. იასე გიორგის ძე. (?-17.03.1841). ~ I, ელისაბედ, თავად ლუარსაბ მაჩაბლის ასული. (?- a.1824). ~ II, ქეთევან იოსების ას. ყორღანოვა. (?-1828); ~ III, ელენე, თავად ქაიხოსრო ბარათაშვილის ასული. (1807-p.1846).

19/13. მარიამ გიორგის ას.; (1798-15.01.1843). ~ (12.11.1915. თავადი სიმონ ფარსადანის ძე მაჩაბელი. (1794-1858).

20/13. თინათინ (კონია) გიორგის ას.; (1801-14.05.1873). ~(5.04.1818), თავადი ივანე ელიზბარის ძე ერისთავი (ქსნის) (1786-1851).

21/13. ელისაბედ გიორგის ას.; (1803-?). ~ (4.05.1818). თავად ოთარ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილი. (1799-?).

22/13. სოფიო გიორგის ას.; (13.08.1812-1834). ~ (16.08.182...) თავადი გიორგი ელიზბარის ძე თაქთაქიშვილი (1800-1847).

23/14. ნატალია ვახტანგის ას.; (26.08.1822-17.02.1894). ~ (25.08.1835), აზნაური იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

24/16. ქაიხოსრო ივანეს ძე. (1814-a.1845). პრაპორშჩიკი. ~ (6.01.1840), ქეთევან, თავად თეიმურაზ მაჩაბლის ასული. (1819-?).

25/16. ელენე ივანეს ას.; (1819- p.1892). ~ (12.11.1839), თავადი იოსებ ქაიხოსროს ძე ფავლენიშვილი. (1818-1892).

26/16. გიორგი (პაჭუა) ივანეს ძე. (11.01.1821-28.03.1895). ~ (16.02.1842), მარიამ გიორგის ას. სარაჯიშვილი. (1823-11.01.18.).

27/16. ანა (მონაზვნობაში ნინო) ივანეს ას.; (1826-p.1854). ~ თავადი ზაზა იოანეს ძე ციციშვილი (ქმართან იცხოვრა სამი წელი).

28/19. ეკატერინე (კეკელა) იასეს ას.; (1817-p.1854). ~ (1831) თავადი ზაალ გიორგის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (1814-1894).

29/19. ნატალია იასეს ას.; (1819-9.02.1855). მონაზონი.

30/19. ივანე იასეს ძე. (21.09.1824-1849). ~ (29.10.1844). თინათინ, თავად დავით მაჩაბლის ასული. (1825-1881).

32/27. ქეთევან გიორგის ას.; (10.04.1844-12.06.1912). ~ (15.05.1864), კოლეგიის ასესორი (коллежский фсессор) მატვეი ფადეის ძე კოშკო (Матвей Фадеевич Кошко) (1808-?).

33/27. ალექსანდრე გიორგის ძე. (8.03.1845-16.08.1876). ~ (12.11.1869), ეფემია, აზნაურ სოლომონ საყვარელიძის ასული (1850-15.05.1904).

35/27. სოფიო გიორგის ას.; (1.04.1851-р.1914). ~ N. ჩერნიკოვა.

36/27. ნინო გიორგის ას.; (5.07.1853-1924). აზნაური ალექსანდრე სავანელი.

39/27. გრიგოლ გიორგის ძე. (10.09.1859-?). ~ თამარ, თავად სარდიონ მაჩაბლის ასული. (1865-1941).

40/27. დავით გიორგის ძე. (9.04.1862-9.11.1905). მოკლა გლეხმა ჩუხაშვილმა.

41/27. ვასილ გიორგის ძე. (10.05.1865-1935). ~ (7.01.1912), ნინა ნიკოლოზის ას. მარჩუკოვა. (1885-?). (I ~, ბარონი კონსტანტინე პეტრეს ძე დე-პორტეჟი).

44/31. ნადეჟდა ივანეს ას.; (4.10.1849-2.08.1875). ~ (9.02.1867), გენერალ-ლეიტენანტი, თავადი დავით ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი. (1831-1920).

49/40. ლევან გრიგოლის ძე. (3.03.1894-1942). ~ თამარ, თავად ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული. (1899-1961).

50/40. მარიამ გრიგოლის ას.; (13.03.1895-1985). ~ აზნაური ვასილ გრიგოლის ძე ფურცელაძე. (1875-1956).

52/40. მაგდალინა გრიგოლის ას.; (11.01.1903-1972). ~ სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილი. (?-1937). რეპრესიების მსხვერპლი.